№ 98

ხუთშაბათი, 12 მაისი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 98

ხუთშაბათი, 12 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქნეინა მარიამ დავითის ასული თარხან მოურავისა, თავადნი ნიკოლოზ, კონსტანტინე და ალექსანდრე ბიძინას ძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასისა საყვარელის ძმისა თვისისა, თავადის მიხეილ ბიძინას ძის ერისთვისას. განსვენებული დაკრძალულ იქმნა 10 მაისს, გორის ტაძარში. (2—2)

ქნ. ნინო მერაბის ასული თავდგირიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 15 მაისს, მისის მეუღლის თავადის ნესტორ ალექსანდრეს ძის თავდგირიძის გარდაცვალების წლის თავზედ იქმნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი მაცხოვრის ეკკლესიაში, სოფელს აკეთს.

2—1204—2

მოსკოვის ურთიერთით შორის ჭირნახულის სეტყვისაგან

დამზღვეველ საზოგადოების

წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას სეტყვისაგან მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დაარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 § ი წესდებისა).

რადგანაც ძალიან ახლოვდება ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრეთვე „სევერნი ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
პ. მ. ოკულიჩი
(10—1177—3)

მოამბე

№ I

ხელმეორედ დაიბეჭდა და ახალ ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ მეხუთე ნომერთან ერთად.
(5—1)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 8

ჭაერი და სითბო

ქივოტოვსკისა

ნათარგმნი გ. შარაშიძის მიერ

(15 სურათითურთ)

ფასი 15 კაპეიკი

წიგნი ისყიდება

საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, სადაც წიგნების ვაჭრობაა

„წიგნების გამომცემელის ქუთაისის ამხანაგობის“ წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 25 მაისს, ოთხშაბათს, საღამოს 7-ს საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრების საგნები არიან:

1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1894 წლისა.
3. გამგეობის მოხსენება.
4. 1893 წლის მოგების განაწილება.
5. მიღება ახალის წევრებისა.
6. არჩევა: გამგეობის, სარედაქციო და სარევიზიო წევრთა.

## ტფილისი, 12 მაისს

დღეს უნდა დაიწყოს სათავად-აზნაურო ბანკის კრება; როგორც გვესმის დიდძალი საზოგადოება შეიკრიბება თურმე ჩვენის თეატრის დარბაზში.

ამბობენ, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ერთობ გულ-მხურვალედ მოეკიდა ბანკის საქმეს და ეს საზოგადოების აზრის წარმატების ნიშანი არისო. ზოგნი-კი იმასაც ამბობენ, რომ ამ მეტის-მეტ გულ-მხურვალებას ვაი თუ ისეთი ბოლო მოჰყვეს, როგორიც მოჰყვებოდა ხოლმე იმერეთის საბანკო კრებებს, სადაც საფუძვლიანი და გულ-დასმით განსჯა საგნისა მართლა რომ შეუძლებელი იყო და, დაქინებით გაისმოდა: „კენჭი! კენჭი! კენჭმა გაგვასწოროსო!“

ამ გვარის განზრახვით შეკრებილი საზოგადოება, რასაკვირველია, არ არის სანატრელი და ჩვენ ერთს წამსაც არ წარმოვიდგენთ, რომ მსგავსი რაიმე მოხდეს აქ.

ის კრება, რომელიც ჩვენ შარშან ვნახეთ და რომელიც დიდის მოთმინებით უსმენდა ორატორებს მთელის საათობით, უთუოდ წელსაც ისეთისავე საფუძვლიანობით მოეკიდება თავის მოვალეობას, მოინდომებს ყოველივე გამოიკვლიოს, გონიერად განსაჯოს და ყოველს საგანს, რომელიც წარმოუდგება კრებას გადასაწყვეტად, მიეცემა ხასიათი მხოლოდ საზოგადო სარგებლობისა და სამართლიანობისა.

მართალია, როდესაც ერთის საქმის განსასჯელად შეიკრიბება ხუთასი და ათასი კაცი, იქ მყუდროების დაცვა არ არის ადვილი; მაგრამ ისინი, ვინც დასებს უდგანან თავში, მოვალენი არიან იზრუნონ კრების ღირსების დაცვისა და ისეთის წესის დამკვიდრებისათვის, რომელიც შესაძლებელადა ჰხდის თავისუფლად საგნის განსჯას.

აქ მარტო თავმჯდომარე კრებისა, რაც უნდა დიდის ავტორიტეტის კაცი იყოს, ვერას გახდება; საჭიროა საერთო მეცადინეობა და ერთგულება საქმისა.

წრევანდელ კრებაზედ გარდა ბანკის მართველობის თავმჯდომარის კენჭის ყრისა, სხვა მრავალი ფრიად საყურადღებო და დიდის მნიშვნელობის საქმეებია განსახილველი. თითოეული ეს საგანი თხოულობს განსჯას, განსჯას რომელსამე სადასო ანგარიშებისაგან დამოუკიდებელს, და უეჭველია ბანკის წევრნი სხვა გვარად არც მოიქცევიან, თუ რომ სურთ საზოგადო საქმეს სამსახური გაუწიონ.

როდესაც ყველა საგნები გარჩეული იქნება და საქმე კანდიდატის კენჭის ყრაზედ მივარდება, მაშინ დას-დასობას აქვს თავისებური აზრი: ერთს დასს იქნება ერთი კანდიდატი მოსწონს, და მეორეს მეორე. მაშინ თითოეული წევრი თავისუფალია იმოქმედოს ისე, როგორცა სურს როგორც თავისი წრფელი სინიდისი ამხელს.

როდესაც კრება დაგვანახვებს, რომ თვითონ იგი შეგნებულად და გულ-ნათლად მოეკიდა თითოეულს აზრს, რომელიც წარდგენილი იყო მისის მსჯავრის დასადებად, მაშინ ყოველი მისი განაჩენი პატივსაცემელი და ღირსეული იქნება, მიუხედავად იმისა, მოეწონება ეს ვისმეს, თუ არა.

სწორედ ამ გვარის სასურველ სახელის მოსაპოვებლად საჭიროა, რომ კრებამ მთელის სხდომების განმავლობაში გამოიჩინოს მტკიცე და მიუდგომელი აზრი ბანკის საქმეთა განსასჯელად, და ეს იქნება თავდები მისის წარმატებისა და სამართლიანობისა შემდეგისათვის.

მეველე

## ახალი ამბავი

⁂ მ. ჯანაშვილის მიერ 1891 შედგენილი მონოგრაფია შესახებ თამარ მეფისა, იბეჭდება ბერენშტამის ბიბლიოთეკის პატრონის ბეგიჩევის მიერ. იგივე მონოგრაფია ქართულადაც დაიბეჭდება ცალკე წიგნად. ამას გარდა იგივე ბეგიჩევი ჰბეჭდავს იმავე ავტორისაგან რუსულად ნათარგმნ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ შედგენილ ისტორიულ მოთხრობას „ბატონიშვილი დავით და მისნი ომები და ლაშქრობანი“. ამ შრომაში, სხვათა შორის მოცეულია აღწერილობა აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრება 1795 წ. ეს აღწერილობა აქარწყლებს არაქელის მიერ მოგონილ ზღაპრებს შესახებ მაშინდელ დროის მოქმედ პირთა.

⁂ ქ. ფოთი: პირველ მაისს, ჩვეულებრივ ქ. ფოთში იმერეთ-გურია-სამეგრელოდან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ნაშუადღევის ოთხ საათზე გააგდეს ბურთი. მეგრელებმა დიდის აღტაცებით და „არიქა ბოშეფი არიქას ძახილით ბურთი დანიშნულ ადგილას მიიტანეს და გადააგდეს „ლელო“. შემდეგ ამისა გამარჯვებულ მეგრელებმა ისეთი საამო „კირიალეისონი“ იმღერეს, რომ ყველა აღტაცებაში მოვიდნენ. ამასთან იყო მშვენიერი ამინდი. უსიამოვნება და ცოტ-ცოტა მიწევ-მოწევა თუმცა იყო, მაგრამ მარცხი-კი არ მომხდარა. ამგვარად პირველმა მაისმა ფოთში კარგად ჩაიარა. ვაჭრობა-კი უწინდელზე ნაკლები იყო. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ქესატობაა.

⁂ ახალ-სენაკი: ვინც კი გაიგო ჩვენი ბელლესტრისტის ე. ნინოშვილის სიკვდილი, ყველას სიბრალულითა და მწუხარებით გული აევსო. აქ დღეს თითქმის გლეხმაც იცის ე. ნინოშვილი და მისი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზედ. განსვენებულის ასე უდროვოდ დაკარგვისთვინ სულით და გულით ვსტირით.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ეგნატე!.. 9 ამ თვეს, მისი ნიჭის პატივისმცემელთა ახალ-სენაკის წმიდის გიორგის ეკკლესიაში მოიყარეს თავი და გადახდილ იქმნა პანაშვიდი ორი მღვდლის თანაშემწეობით ადგილობრივი ბლაღოჩინის მ. არისტარხ კალანდარიშვილის მიერ. პანაშვიდზე ბლომად დაესწრო საზოგადოება. ჰგალობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ხორო ქართულად ბ-ნ ა. ქალაძის ლოტბარობით. შემდეგ პანაშვიდისა, სხვათა შორის, ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

⁂ იქიდანვე: კვირას, ამ თვის 8-ს იყო დანიშნული კრება, აქაურთა მცხოვრებთა და ვაჭართა. კრებას უნდა აერჩია ახალი მოხელენი, რადგანაც ძველებს ვადა გაუვიდათ. კრებამ ერთის ხმით აირჩია აქაური ვაჭარი აზნაური ანტონ ქავთარაძე და აზნაური ნიკო ჯიჯიხია. პატივცემულნი პირნი, შეგნებული კაცები არიან. მაშასადამე ჩვენი ახალ-მოზარდი დაბის ბედ-იღბალი ამათ ხელში იქნება და იმედია, რომ ესენი დიდს მხნეობას და ბეჯითობას გამოიჩენენ დაბის წარმატებისთვის. ამიტომ საჭიროა დიდი ენერგია ამ ახლად ამორჩეულ „დეპუტატთვის“.

⁂ სოფ. ტეზერი (ქართლი): 9 მაისს ნაშუადღევს, სეტყვა მოვიდა ჩვენს სოფელში და ძალიან წაახდინა კვირტ გამოსული ვენახები და აგრეთვე ბოსტნები.

⁂ იქიდამვე: ეს ერთი კვირაა ვისაც არა მგონია ფეხი აულია, მოდის ჩვენს სოფელში და ძალას ატანს აქაურ აზნაურშვილებს, გინდათ თუ არა, ტფილისს უნდა წამოხვიდეთ ბანკის არჩევანებზეო დი ამის გულისთვის საჭირო სამგზავრო ფულსაც იძლევიან. თუ არ დასთანხმდა კაცი, კიდევაც ემუქრებიან. ამ ვაჟ-ბატონების თავგასულობამ ჩხუბებამდისაც მიაღწია, რადგანაც ბევრისგან უარი ესმით, არა გვცალიან ეხლა მუშაობისა და საქმიანობის დროაო.

ნიკო ორჯონიკიძე

⁂ სოფ. მხეფი (სამეგრელო) სწორედ ვერაფერი წელიწადი დაგვიდგა წელს. ჯერ იყო და ზამთრის გამუდმებულმა ცუდმა ამინდებმა წაილო ილაჯი. ახლა არის და გვალვა, რის გამოც მუშა კაცი გულ-ხელდაკრებილი შეჰყურებს ცას. როდის გველირსება წვიმა, ყანები დროზე შევიმუშაოთო. გაზაფხულის დადგომის შემდეგ ჩვენში გაჩნდა წითელა, რომელმაც არ დასტოვა ისეთი ოჯახი, სადაც მითი ავადმყოფი არ ყოფილიყოს; მაგრამ ზიანი ღვთით ჯერ-ჯერობით არ მოუტანია.

⁂ ჭიათურა: ამ ჟამად, პირველმა შავი-ქვის ამხანაგობამ, ანუ „სინდიკატმა“, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ბ-ნი გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), მოიწვია მთა-მადნის ინჟენერი ბ-ნი გიორგი დეკანოზიშვილი. იმედია, ამ ორის კაცის თაოსნობით და მხნეობით, ეს ამხანაგობა წინ წაიწევს და წარმატებაში შევა.

⁂ უვირილა: მიმოსვლა და შავი-ქვის ზიდვა ჭიათურის რკინის გზაზედ უფრო საშიშარი გახდა: დატვირთულ ვაგონებს უმოწყალოდ ამტვრევენ; შვიდ საათზედ დილით რომ

წახვიდეთ შორაპნიდგან, 9-10 საათზედ ღამისა იქნებით ქიათურაში. ორთქლ-მატარებელნი, რიცხვით ოთხი, გაფუჭებულნი არიან, ასე რომ ყოველ სადგურზედ, მათ შესაკეთებლად, ჩერდებიან ერთ-ორს საათს. შავი-ქვის მწარმოებლები ემზადებიან ურმით ზიდვას. ზოგმა კიდევაც დაიწყო ურმით ზიდვა ქიათურაში. წელს ქიათურის ახლო-მახლო სოფლელებს კაი მოსავალი მოელით, თუ ამინდმა შემდეგში არ უმტყუნა. ღამე ჟუჟუნა წვიმა მოდის, დღე-კი მუდამ მზიანი და უქარო, ასე რომ ხელს უწყობს სიმინდის მოსავალს.

*** დაბა ხობი. (სამეგრელო) სხვებთან ერთად, ჩვენც ღრმა მწუხარებას ვიძლევით ჩვენის პატივცემულის ბელეტრისტის ე. ნინოშვილის უდროვოდ გარდაცვალებისა გამო.

დღეს, 8 მაისს ხობის მონასტერში გარდავიხადეთ პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. ამ პანაშვიდს დაესწრო მრავალი საზოგადოება, აგრეთვე ხობიის სკოლის მასწავლებლები თავისი მოწაფეებით: საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატივ-ცემულო ეგნატე!

ლუკა შონია

*** რუსთველის ძეგლისთვის ჩვენ მივიღეთ ვინმე მესხისგან შეკრებილი 2 მანეთი. ამ ფონდისა იყო 957 მ. 82 კ. ახლა არის 959 მ. და 82 კ.

## დამაკვირდი

—

კარგი კრუხი ცალის თვალით მარცვალს ჰხედავს, მეორეთი-კი ქორს.

**

აზრი და საქმე შეადარა ვიღაცამ რახილსა და ლიას. ერთი უმშვენიერესი იყო, მეორე უნაყოფიერესი.

**

ყოველთვის, რამდენჯერაც დაიგლი შენს მამულს თითო ოქროს ფულს იპოვნი.

## სიტყვა,

თქმული ილ. ფერაძის მიერ გორის ოქონის წმ. გიორგის ტაძარში, 8 მაისს ე. ნინოშვილის მოსახსენებლად გადახდილს პანაშვიდზედ.

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია!“

ი. ჭავჭავაძე

ჩვენის უნივერსის ახალგაზდა ბელეტრისტის ეგნატე ნინოშვილის (ეგნატე ინგოროყვას) გარდაცვალებამ შეგვკრიბა დღეს ამ წმიდა ტაძარში მისის სულის და სახელის მოსახსენებლად. ამ რვა დღის წინ დაუნდობელმა სიკვდილმა ეს კეთილშობილი ადამიანი მოსტაცა საზოგადოებრივი მოღვაწეებით ღარიბს ქართველს ერსა. ავტორი მშვენივრად დაწერილ მოთხრობათა: „სიმონა“, „ქრისტინე“, „მოსე-მწერალი“ და კიდევ სხვათა... დღეს შავმა მიწამ უნდა მიიღოს თვისს გაუმაძღარს წიაღში. დღეს ყოველი შეგნებული, მშობლიური მწერლობის მოყვარული ქართველი, დიდად გლოვობს ამ მაღალი ჭკუა-გონებით და წმიდა გრძნობით დაჯილდოვებული მწერლის დაკარგვას, გლოვობს ერთად „მკვირცხლ“ გურიასთან, რომლის მომხიბლავმა ბუნებამ და ნაყოფიერმა ნიადაგმა აღზარდეს იგი, როგორც თავისი ღვიძლი შვილი.

დიდი დასაკლისია ეგნატე ნინოშვილის მიცვალება ჩვენის ქვეყნისათვის. იშვიათია იმისთანა მხნე, დაუღალავი, შავ-ბედთან თავ-გამეტებით მებრძოლი ქართველი, როგორიც იყო განსვენებული. ღარიბი დედ-მამის შვილი, პატარაობითვე შეჩვეული მწუხარებას, ეგნატე სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ მალე იქმნა იქიდგან გამორიცხული. სასწავლებლიდგან დათხოვნამ მას თვალები აუხილა, გამოაღვიძა და სხვებსავით გული არ მოუკლა. ბუნების მიერ უხვად ნიჭით დაჯილდოვებული სასწავლებლიდგან დათხოვნის შემდეგ ის ჰკითხულობს სხვა და-სხვა ქართულს და რუსულს წიგნებს, იძენს ცოდნას და ივითარებს გონებას. ეგნატე სამზღვარ გარეთაც-კი მიდის ცოდნათა შესაძენად და უბრუნდება თავის სამშობლოს გონებით დამწიფებული, მხოლოდ ამის შემდგომ ჰკიდებს ის კალამს ხელსა და იწყებს მწერლობას.

იშვიათია ჩვენში ისეთი გულ-კეთილი, ნამდვილი, სახარების მიერ ნამოძღვრი ქრისტიანობრივი სიყვარულით შემკული ადამიანი, როგორიც იყო ეგნატე ნინოშვილი. იმას მეტის-მეტად ებრალებოდა ღარიბი და ღატაკი, დაცემული და დავრდომილი.

უკანასკნელი გროში თუკი მოეპოვებოდა, შიმშილით სიკვდილის მოლოდინიც რომ ჰქონოდა, მაინც ამ გროშს გაჭირვებულს მიაწოდებდა და თვით-კი ღვთის ანაბარად რჩებოდა. საზოგადოდ ის იყო დღიური ვარმით დაჩაგრულის ხალხის მოსიყვარულე, მანუგეშებელი. სწორედ იმ სულ განათლებულ ადამიანს შეეძლო თამამად ეთქვა თავის-თავზედ პოეტის სიტყვები:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ხალხისა მოძმე ვიყო
ჭმუნვაში და სიხარულში;
მისი ლხინი მიჩნდეს ლხინად
მეწვოდეს მით ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცედ გული!“.

ი. ჭავჭავაძე

ასეთი თვისება ხომ ხვედრია დიდ ბუნებოვანის ადამიანისა, იმ ადამიანისა, რომლის სულში და გულში ღვთის მადლს სამუდამოდ დაუსადგურებია. რამდენი ხანია მას აქეთ, რაც გაისმა ქვეყნად მოძღვრება სიყვარულისა, მაგრამ დღემდის უმეტესობას ცხოვრების დროშაზედ სიმძულვარე უწერია... ამიტომაც, როცა ეგნატე ნინოშვილისთანა კეთილი ადამიანები შეგვხვდება ცხოვრებაში, გამოუთქმელად გვესიამოვნება, რადგან მათი სიკეთე ალვ ძეჷს ჩვენს შინაგანს ბუნებაში დაძინებულს გრძნობას ძმათ სიყვარულისას.

ეგნატე ნინოშვილი პირველი მწერალია ჩვენს მწერლების შორის, რომელმაც დაახლოვებით გაგვაცნო ჩვენ გურია და მის მკვიდრთა ცხოვრება, გვ ჩვენა მათი ავი და კაი, მან ამით ახალი განძი შეიტანა ჩვენს ლიტერატურულ ნაწარმოებთა სალაროში. ამ მხრით ნინოშვილს ჯერ ტოლი არავინ ჰყავს. განსაკუთრებით ის თავის ნაწერებში თანაუგრძნობს მდაბალს ხალხსა, გლეხ-კაცობას, იცის საფუძვლიანად მისი გულის პასუხი, მისი მისწრაფებანი, მისი ხასიათი, მისი ზნე... ის მუდამ ესარჩლება გლეხკაცობას. მისი ცრემლის ღვრით შეწუხებული, ნინოშვილი თავის ნაწერებში სდევნის „მოსე მწერლებს“, რომელნიც უსწავლელს ხალხს ატყუებენ და მისი ოფლით ნაშოვნი ფულით თვით ცხოვრების წამებს იტკბობენ; სდევნის „ტარიელ ბალაძეებს“, რომელნიც მხოლოდ მუშტიკრივზედ და ხმალ-ხანჯალზედ იცქირებიან და გზა-დაბნეულნი, უმიზნონი და უსაგნონი ცხოვრებაში ვნებათა მღელვარების მონები არიან, რომელნიც არ დასდევენ არც სინიდისს და არც პატიოსნებას, ოღონდ-კი დააკმაყოფილონ თვისი პირუტყვული, წუთიერი სურვილები. სდევნის იასონ უქმაძეებს, რომელნიც პატიოსან ქალწულებს ნამუსს ხდიან და მით ხდებიან მიზეზად მათის ზნეობითი ხრწნილებისა, მათი უბედურის სიკვდილისა. ვის წაუკითხავს განსვენებულის ნინოშვილის მოთხრობა «ქრისტინე» და ჭეშმარიტი სიბრალულის გრძნობის მიერ გამოწვეული ცრემლი არ დაუღვრია?!.

ბევრს ცილს სწამებენ გურულებს; ამბობენ, რომ გურული ბუნებით სისხლის ღვრის მოყვარულიაო. მაგრამ ვინც ასე ჰფიქრობს, ის ძალიან შემცდარია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გურული ბუნებით გულ-ჩვილი, კეთილი და ყოვლად პატიოსანი ადამიანია. დაუმატეთ ამას გურულის მისწრაფება სწავლა-განათლებისადმი, მისი ნიჭი და უნარი აღებ-მიცემობაში და მრეწველობაში და ნათლად გაიგებთ, თუ რა ძვირფასი თვისებითაა ის შემკული. ჩვენი მამულის ბედიღბლის მიმდინარეობაში გურია და გურულები უეჭველად მერმისში საპატიო ადგილს დაიჭერენ. სისხლის ღვრა და კაცის კვლა-კი გურულს სძულს. აი რას ალაპარაკებს ეგნატე ნინოშვილი ერთს თავისს გმირსა, სახელდობრ გოგია უიშვილს სისხლის დაღვრის თაობაზე. „მაინც ცოდვა-კი უნდა იყოს, ამდენს სულდგმულს რომ ხოცავს ადამიანი. სხვაფერ რომ გეეჩინა იმ დალოცვილს ღმერთს, უკეთესი იქნებოდა, აბა ერთი იფიქრე, უნდა წავაქციო იმ სისხო საკლავი და დავკლა. მერე არ იტყვი, როგორ ემწარება საცოდავს სიკვდილი! ცას უწევს იმისი ჭყვირილი“, ასეთი გულ-კეთილი კაცი, რომელსაც პირუტყვის დაკვლაც-კი ეზარება და ეძნელება, ადამიანს ხომ სულ არ გაიმეტებს მოსაკლავად, ცხოვრების უსამართლობის, სხვა-და-სხვა გარე-შემოტყმულ გარემოებათა მეოხებით ხდება „ყაჩაღ სიმონად“, რომელიც შიშის ზარს სცემს მთელს გურიასა. გურულს არა თუ თვისი ახლო მეზობელი გურულივე ებრალება, არამედ მის სიყვარულის და სიბრალულის გრძნობას აქვს მსოფლიო, საერთო-საკაცობრიო ხასიათი, რომელიც დროთი და სივრცით არ შეიზღუდება. „უბედურია მუშა-კაცის საქმე—ამბობს ერთი გლეხი ნინოშვილის მოთხრობაში:—მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვდება სადაც, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდენი ზალიკა, სიმონიკა, გოგია ამ კუთხეში მოკვდება, რამდენი სხვა კუთხეში და რამდენი სად?!“

განსვენებული ფრიად მოყვარული იყო მშობლიური მწერლობისა, რომელიც შეადგენდა მის წმიდა წმიდათას, მისი ცხოვრების საგანს. ის ფერმიხდილი სენისგან დასუსტებული, გამხდარი, ღონე წართმეული, ხმელს ლოგინზედ მწოლი და სიკვდილის მომლოდინე ხელიდგან კალამს არ აგდებს, უნდა რამე დასწეროს, მაგრამ ძალა აღარა აქვს, გმინავს, სწუხს. „ნინოშვილს,—სწერს ერთი კორესპონდენტი:—მადა სულ დაეკარგა, ხმა ჩაუწყდა, ლოგინიდგან ვეღარ დგება; მიუხედავად ამისა, როცა უკეთესად ჰგრძნობს თავს, სცდილობს განაგრძოს თავის ახალი მოთხრობა: „პარტახი“, მაგრამ ამაოდ, კალამი ხელიდგან უვარდება და საშინელ მწუხარებით იწყებს მწარე ოფლის ცურვას“, განსვენებულს ეთქვა: იმას ვწუხვარო, რომ ისე ვკვდები, ვერაფრის გაკეთება შევძელო, მაშინ ვკვდებიო, როცა ჩემის მოღვაწეობის პროგრამმა გამოვირკვიეო. მას სურდა ეცოცხლა არა იმისთვის, რომ ცხოვრების სხვა-და-სხვა სიამოვნებით დამტკბარიყო, არამედ იმისთვის, რომ რაიმე გაეკეთებინა მოძმის სასარგებლოდ. აკი იმიტომაც ენანება სიკვდილი თვისი?!

მისი ზეცით-მონაბერი ჭკუა-გონება არა ერთსა და ორს საუკეთესო ნაწარმოებს შესძენდა ღარიბს ქართულს მწერლობას, რომ სიცოცხლე განგრძობოდა. მაგრამ ერთად—პოეტთან გარდაცვალებულზე შეგვიძლია ვთქვათ:

„ყრმაო—მწერალო! უღვთო იყო შენი სიკვდილი,
ვინ უწყს, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა?!.
ეგ შენი გული, სიყვარულის სხივთ ქვეშ გაშლილი,
რამდენის გრძნობით, ჯერ უთქმელით ჩვენ ჩაგვესვენა?!“

საზოგადოებრივ მოღვაწეობის პატივისცემა შეადგენს განსაკუთრებით ჩვენისთანა ბედში მყოფი ერისთვის აუცილებელს საჭიროებას და მოვალეობას, გარდა იმისა, რომ ამით მოღვაწის ხსენებას ვცემთ პატივს, თვით ეს პატივისცემა, მოღვაწის მოქმედების მოგონებასთან შეერთებული, აღვივებს და აცხოველებს გულში მამულის სიყვარულის გრძნობას. საზოგადოებრივი მოღვაწეები ფრიად უანგარო ადამიანები იყვნენ. ისინი იმ აზრს ადგნენ, რა აზრსაც ადგა ჩვენი უკვდავი მგოსანი ბარათაშვილი:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება.
და მოძმესა ჩემსა შემდგომად სიძნელე გზისა გაუადვილდეს.“

ეგნატე ნინოშვილიც მის მსგავსად თავ-გამეტებით ემსახურებოდა თავის მოძმესა, ვიდრე პირში ედგა სული, მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ის მცნება, რომელიც გვიქადაგებს:

„სიცოცხლის მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმისა ფარად,
სამშობლო შენი მარად გიყვარდეს,
თუ რომ გსურს გახდე ადამიანად“.

სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობა ჩვენში ძნელი საქმეა, ჩვენი საზოგადოება რიგიანად ვერ აჯილდოვებს მწერალსა, დაჯილდოვებას ვინ დაეძებს, ბევრმა ქართველმა არც-კი იცის ქართული მწერლები... მხოლოდ მაშინ გავიგებთ ხოლმე ზოგიერთი მწერლის არსებობას, როცა გარდიცვლება, მწერლის და საზოგადოდ მოღვაწის დამარხვა ხომ უმშვენიერესად ვიცით. ვგონებ, ყოველს ხალხს ქართველებმა ვაჯობოთ ამ მხრით... უმეტესი ნაწილი მწერლებისა-კი სიცოცხლის დროს სიღარიბეში ატარებს დღეებსა და უდროვოდ ესალმება წუთისოფელს, დღიურ ლუკმის ძიებაში დაღლილი.

ეგნატე ნინოშვილს რომ დღეს საფლავიდგან ხმის გაცემა შეეძლოს, უეჭველად დამსახურებულის საყვედურის ნაცვლად, აი რა რჩევას მოგვცემდა: „თქვენი ძვირფასი გვირგვინები არ ესაჭიროება მიცვლილს მოღვაწესა; ის ვეღარ იგრძნობს მათს სიმშვენიერესა, თქვენი „თბილ-თბილი სიტყვები, მის დასაფლავების დროს წარმოთქმულნი, შეურყევენ მას საფლავის ტკბილს მოსვენებასა, და სამარეზედ დადგმულს ნივთიერს ძეგლებს შეუბრალებელი ჟამთა ტრიალი დააქცევს და გაამტვერებს. თუ გსურსთ მე ღირსეული პატივი მცეთ ყურადღება მიაქციეთ თქვენს მშობლიურს მწერლებს, ჩემს კალმოსანს ძმებსა, მაშინ, როდესაც ისინი სცოცხლობენ, მიაწოდეთ მათ შემწეობა, აღმოუჩინეთ დახმარება, რომ დღიურ ლუკმის ძებნით ხელი არ მოეცაროთ... მეც ბევრი გაჭირვება გამოვიარე, მაგრამ მადლობა ღმერთსა! ოღონდ მათ განუკარგეთ ბედი, და მე მათი და თქვენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო“.

და ჩვენ, რომელთაც-კი გული მოგვიწყლა ეგნატე ნინოშვილის უდროვო გარდაცვალებამ, ვინუგეშოთ იმითი, რომ მის მიერ გაკვალულს გზაზედ სხვა ნინოშვილი დაიწყებს სიარულსა და შეასრულებს მას, რის გაკეთებაც ვერ მოასწრო განსვენებულმა. ეგნატე ნინოშვილის სახელი უკვდავი იქნება საქართველოში, ვიდრე ქართული ერი იქართველებს და მომავალი ისტორიკოსი ქართულის მწერლობისა თავის ისტორიის ფურცელზედ მას დაუთმობს საპატიო ადგილს, როგორც ერთს ქართველ უნიჭიერესს ბელლეტრისტთაგანს.

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრად იგი თქმულა ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

„განა შეიძლება იყოს მისთანა ჭკუიანი, რომ ხანდახან სულელურიც რამ არ წასცდეს?“

შრ. ფიქ.

მოგეხსენებათ, გამოცანასაც თავისი აზრი აქვს. ძველად გამოცანას ამბობდნენ და მისი გამოცნობა გამომცნობელის ჭკუა გამჭრიახობის ნიშანი იყო თავიც მოსწონდათ, რომ ამდენმა ვერ გამოიცნო და მე მივხვდიო. სამწუხაროდ, ეხლანდელმა გმირმა მწერლებმა ისე გამოცანურად დაიწყეს კილო-გამობმით წერა, რომ თვით სოლომონ ბრძენიც-კი ხელებს გაასავსავებს და იქნება ამ ხელების გასავსავებას ჩვენებური მდაბიური ლექსიც თან დაატანოს,—რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერიაო.

ერთი ასეთი გამოცანა გახლავთ „კვალში“ (№ 20) მოთავსებული—„ჭრელი ფიქრები“ ვიღაც ჩოხოსანისა. თუმცა თვით ბ-ნი ჩოხოსანივე ბოდიშს იხდის მკითხველებთან, რომ „სიცხე ნაკრავივით (თუ საგით?) ვბოდავო“ და ჩვენც თამამად შეგვეძლო ამ ბოდვისათვის გზა აგვეხვია და ანგარიში არ გაგვეწია, მაგრამ ამ „ჭრელს ფიქრებს“ შენიშვნა აქვს, იგი შენიშვნა გვამცნევს, რომ შიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობილი ამბავი ამერეთს შეეხება თურმე და არა იმერეთს, და, რაც უფრო საყურადღებოა, შენიშვნაზედ ხელს აწერს ჩვენი პატივცემული პოეტი აკაკი. რა-კი ბ-ნ აკაკის პოეტური მუზაც-კი აჰყოლია ამ ბოდვას, მეტი რა ღონეა, ჩვენც გავსინჯოთ ერთი, რა ჰსურს ბ-ნს ჩოხოსანს და რად აშლია ჭრელი ფიქრები...

ბ-ნი ჩოხოსანი, ბოდვით იბოდიშებს რა თავს, ჰბრძანებს, რომ ქვეყნის უსამართლობა მაცხარებსო, ოღონდაც, რომ შეიძლება გააცხაროს ადამიანი უსამართლობამ, და მერე ისიც ქვეყნისამ. მერე რა უსამართლობა ჩაუდენია ისეთი ქვეყანასათ? იკითხავთ აი რა:

„ვისაც ჯერ კიდევ ჩოხა არ გაუხდია და ისევ ქალამნები აცვია, კაცათ აღარავინ აგდებს!.. გაჩუმდითო! თვალი დახუჭეთ და რაც ყურში ჩაგძახოთ, ჭურივით, თქვენც ის ამოიძახეთ ხოლმეო!—თქვენ ჩოხიან-ქალამნიანებს რა გესმით, რომ საზოგადო საქმეებში ერევითო?.. შინაურ საქმეებში, იმ ახლო-მახლოს, სანამდისაც კი მივწვდებით ჩვენ ჩოხიან-ქალამნიანები, რათ არ უნდა გვეკითხებოდეს რამე? ნუ თუ ჩოხის ჩაცმა საძრახისია?..“

ეს ტირადა ჩოხოსანისა სწორედ ქარის წისქვილებთან ბრძოლასა ჰგავს. ბ-ნი ჩოხოსანი ისარს ისვრის, შვილდსაც ჰმალავს, მაგრამ მისი ნასროლი ისარი ამაოდ, უგზო-უკვლოდ დაფარფატებს ჰაერში, რადგან, შემინდოს მიუხვედრებლობა, ვერავინ მიმხვდარა,—ვინა ჰყავს მიზანში ამოღებული. ვინ ამბობს „გაჩუმდითო! თვალი დახუჭეთ და რაც ყურში ჩაგძახოთ, ჭურივით, თქვენც ის ამოიძახეთ ხოლმეო! თქვენ ჩოხიან-ქალამნიანებს რა გესმით, რომ საზოგადო საქმეში ერევითო?“ რომელი ჭკვათა-მყოფელი კაცი იტყვის ამას, თუ არა სულელი, რომლის ლაპარაკი ერთ გამხმარ ჩირადაც-კი არა ჰღირს, არამც თუ იმად, რომ გონიერი ჩოხოსანი ბოდვას მოჰყვეს, გაიმახვილოს კალამი და მთელი ეპისტოლე დასწეროს, „კვალის“ რედაქციამ ამ ეპისტოლეს ერთი ფურცელი დაუთმოს და ბ-ნმა აკაკიმ კიდევ თავისის შენიშვნით შეამკოს ეს ბოდვა?!.

ჯერ ერთი, ტყუილია, ვითომ ჩოხიან-ქალამნიანი ადამიანადაც არავის მიაჩნდეს... ეს ტყუილი იმითიც აშკარადა სჩანს, რომ თვით „კვალის“ რედაქციაში სერთუკოსნები უფრო მრავლად არიან, თვით აკაკიც-კი სერთუკოსანია, მაგრამ პირველთ მოუწონებიათ ბ-ნ ჩოხოსანის ბოდვა და უკანასკნელს დაუსხოლიოებია კიდეც. მეორე,—თუ არიან ისეთი უგუნური სერთუკოსნები, რომ გახუნებული სერთუკი მიაჩნიათ ჭკუისა, გონებისა და ცოდნის სალაროდ, რატომ პირდაპირ არ დაასახელა ბ-ნმა ჩოხოსანმა, რომ მისი იერემიადა ქარის წისქვილებთან გამკლავებას არ დამსგავსებოდა?..

თურმე ნუ იტყვით, ბ-ნი ჩოხოსანი—ტეტია, როგორც თითონვე უწოდებს თავისს თავს, სხვებთან ერთად ერთს „მეჯლისს“ დასწრებია, სადაც ფრაკოსან-მუნდიროსნები მედიდურად მოჰკიდებიან. გაუბამთ დიდად უაზრო და უგუნური ლაპარაკი იმის შესახებ, თუ პური და ღვინო რისაგან არის შემდგარიო, და შემდეგ, რაღა საკვირველია, იმ ლაპარაკს ბოდვაც მოჰყოლია—ჭრელი ფიქრები. ორიოდე ვიღაც ფრაკოსან-მუნდიროსანის მედიდურობას სრულიად აუჭრელებია საბრალო ჩოხოსანისათვის ფიქრები!.. ღირდა განა მაგისათვის კალამის ხელში აღება?.. ან, თუ არადა, ორს ფრაკოსანს, ვსთქვათ, ჭკუა რომ თვალში ჰქონდეს და ტანისამოსის კვალობაზედ სწონავდეს ადამიანობას, ეგ განა საბუთია მთელის ფრაკოსნების ყბად აღებისა?..

ჩოხოსანი წიწმატობს, რომ როცა მე ღონე არა მაქვს, სხვამ უნდა მიღონოს და ამას ვერ დამიშლითო.

„ძველათ, როდესაც საერთო საზოგადო საქმე სადმე გამოჩდნებოდა, ყოველი კუთხიდამ იქითკენ მიიწევდენ, მიდიოდენ, ქართველები... მაშინ გზა ადვილი იყო, თითოეული მათგანი გადიკიდებდა ფარმალს, შეჯდებოდა ცხენზე და ერი ჰა!.. მიეშურებოდა... თუ თითონ არ ეყოლებოდა ცხენი, მეზობელსა ჰსთხოვდა, ხელს მოინაცვლებდა და ვერცარავინ დაჰძრახავდა.—დღეს ცხენი პატარა ბილეთათ გადაიცვალა. თუ საშუალება არ მექნება, რომ ის პატარა ბილეთი შევიძინო, რატომ არ უნდა მივიდე ჩემს მოძმესთან ჩემისთანა ჩოხიანი და არ ვთხოვო: „არ მინდა, რომ საზოგადო საქმეს მოვსხლტე... სურვილი მაქვს, რომ დავესწრო მეც იქ, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი*) ჰწყდება და ხელი გამიმართე დღეს, რომ მეორეთ მეც გაგიმართო და მეც ისე დაგეხმარო, როგორც დღეს შენ მეხმარები-თქო. აქ შემარცხვენი და საძრახისი რა არის?..“

ოღონდაც, რომ არც შესარცხვენია რამე და არც საძრახისი. საძრახისი ის არის მხოლოდ, როდესაც ადამიანს შავი გული და ენა მჭევრად მეტყველი ალაპარაკებს. თვით ჩოხოსანის მიერ დასახლებული ფრაკოსანი თუ მუნდიროსანიც ამბობს, რომ ყოველს საქმეს წინ პატიოსნება უნდა მიუძღოდესო, და სწორედ ჭეშმარიტს, სრულს სიმართლეს ამბობს. მაინც არ გვესმის, რასა ჰგოდებს ბ-ნი ჩოხოსანი?.. თუ დღევანდელი ცხენი ბილეთია და თხოვნა უნდა, თუ ისეთი გულ-კეთილი მეზობელიც იშოვა, რომ ათხოვა ასეთი ცხენი, შეჯდეს და მივიდეს იქ, სადაც იმის ქვეყნის ბედი სწყდება, ვინ უშლის ან ერთს—ნუ ათხოვებო და მეორეს—ნუ ითხოვო?.. მაგრამ უკაცრავად, დამავიწყდა, რომ ეს „ჭრელი ფიქრები“ ბოდვაა დასიცხულისა და არა ჭკუათა-მყოფელ კაცის ნათქვამი. უბედურება ის არის, რომ ბ-ნს ჩოხოსანს თავის „ჭრელს ფიქრებში“ ბოდვა თანდათან ერევა (ამ წყეულს ზაფხულში, მოგეხსენებათ, ძნელია, თუ ერთი სიცხე დაჰკრა ვისმე!..) და დასასრულ აი რას ეუბნება იმ ვიღაც ფრაკოსანს.

„არა, ბატონო, თქვენ გინდათ, რომ აქვე სახლიდან ფეხ-გამოუდგმელად დამთხაროთ თვალები, ამომგლიჯოთ ენა, დამამუნჯოთ, დამაყრუოთ და დამაბრმაოთ, მევე ე. ი. ჩოხიან-ქალამნიანს, მინდა რომ ადგილზე მივიდე, ჩემი თვალით ვნახო ყოველიფერი, ჩემი ყურით გავიგონო, ავწონ-დავწონო, გავზომო და მერე ისე გადავჭრაო!“

ამ სიტყვებმა ძალიან დააღონეს ფრაკოსანიო, დასძენს ბოლოს. ეს ფრაკოსანიც დასიცხული იქნებოდა, თორემ-კი არ უნდა დაღონებულიყო, აღტაცებაში უნდა მოსულიყო. უნდა ეთქვა: „თქვენს პირს შაქარი! მიბძანდით, თქვენის თვალითა ჰნახეთ, თქვენის ყურით გაიგონეთ, ასწონ-დასწონეთ, გაჰზომეთ და ისე გადასჭერით, გადასჭერით სამართლიანად, პირ-უთვნელად, მიუდგომლად! რა ბოროკის თავსა სჭამთ, თუ ასეთს მადლსა და სიკეთეს იზამთ, რომ სხვის ჩაძახილს არ ამოიძახებთ, ამისათვის რომელი სულელი გაგკიცხავთ?!. ტყუილად მოგლანდებიათ, ვითომ ჩვენ თქვენი დამუნჯება, დაყრუება და დაბრმავება გვინდოდეს, ღმერთმა დაგვიფაროს! პირ-იქით, გაიმახვილეთ, გაფაციცებით გეჭიროთ ყურიცა, ენაცა და თვალიც, რომ ბოროტმა, პირადს ანგარიშზედ აგებულმა, განზრახვამ ცრუ გზაზედ არ გადაგიტყუოთო!..“

ასე ეტყოდა ის ფრაკოსანი, ჭკვიანი კაცი რომ ყოფილიყო, მაგრამ ფერი ფერსა—მადლი ღმერთსაო, ნათქვამია, როგორიც ალხანაო, ისეთი ჩალხანაო: როგორც ჩოხოსანი ყოფილა დასიცხული, ისეთივე ფრაკოსანი შეხვედრია...

მაგრამ უკაცრავად, კიდევ დამავიწყდა, რომ „ეს ჭრელი ფიქრები“ ბოდვაა და არა გონიერი ლაპარაკი. სულ-კი აკაკის ბრალია!.. ჩვენს პოეტს ხუმრობა უყვარს და ჩოხოსანის ბოდვაც დაუსხოლიოებია, «ეს ამბავი თავიდან ბოლომდე შეეხება ამერეთს და არა იმერეთსაო“... ჰკითხეთ ახლა: რად შეეხება მარტო ამერეთს, განა იმერეთშიაც არ იციან ბოდვა?.. განა იქ-კი არ დასიცხავს ხოლმე ადამიანს?.. მაგრამ, აშკარაა, აკაკი ამას ხუმრობითა სწერს და ჩვენც ამან წაგვიტყუა, ამ ხუმრობამ დაგვავიწყა, რომ ჩოხოსანის კალმის ნაცუდლუტევი ბოდვა იყო, მხოლოდ ბოდვა და სხვა არა-რა. ახლა პასუხი გავცეთ ბ-ნს ჩოხოსანს თავისს საკითხზედ, რომელიც ამ სახელდახელოს დასაწყისში გვაქვს ამოწერილი: დიახ, ბ-ნო ჩოხოსანო, ძნელად თუ იყოს იმისთანა ჭკვიანი ადამიანი, რომ ხანდახან სულელურიც არ წამოსცდეს, სიცხემ არ დაჰკრას და უალაგო ბოდვას არ მოჰყვეს!—და ვსდუმნეთ... **)

Patricius

*) არ ვიცით, რომელ ქვეყნის ბედისას ამბობს ბ-ნი ჩოხოსანი, მაგრამ ბანკი-კი რომ არა აქვს მხედველობაში, ეს აშკარაა, რადგან მაშინ ბ-ნი აკაკი არ დაეთანხმებოდა. ან როგორ უნდა დასთანხმდებოდა, როდესაც აკაკი სწერს გაზ. „Нов. Обоз.“-ს მე-3557 №-ში, რომ „ამ ჟამად საზოგადოდ სადგილ-მამულო ბანკებს ისეთ თვალ-საჩინო დაწესებულებად არა ვსთვლი, რომ განათლებულმა ქართველმა მთელი თავისი ყურადღება განსაკუთრებით ამ ბანკებს მიაქციოსო“.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

**) დღეს, 11 მაისს, „Нов. Обоз.“ სწერს, რომ „კვალში“ დაბეჭდილი წერილი აკაკის ეკუთვნისო. ეს, რასაკვირველია, ყოვლად დაუჯერებელია, რადგან აკაკი როგორ დაიწყებდა ასეთს უალაგო ბოდვას, ბოდვას უაზროს, დაულაგებელს, შეუწყნარებელს... უფრო სარწმუნოა, რომ ვიღაც მართლა დასიცხულს ჩოხოსანს დაუწერია და აკაკის, ხუმრობით, დაუსხოლიოებია,—წაიკითხავენო. ეს სხოლიო რომ არა ჰქონოდა, ჩოხოსანის ჭრელს ფიქრებს, რასაკვირველია, ყურადღებას არავინ მიაქცევდა და აი, კიდეც ამიტომ არის ჩვენის პოეტის სახელი ამ წერილში ჩაჩხირული. ეს ჩქარა გამოირკვევა, რადგან, რა-ღა თქმა უნდა აკაკი უარ-ჰყოფს ამ წერილს.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა

---

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება

### სხდომა პირველი

### 1 მაისს

კრებაზედ გამოცხადდა 33 წევრი და რამდენიმე გარეშენი. სხდომა დაიწყო დილის $11^3/_4$ საათზე საზოგადოების თავჯდომარის თ. ი. გ. ჭავჭავაძის თავჯდომარეობით.

პირველად წაკითხულ იქმნა ოქმი უკანასკნელის წლიურის კრებისა.

შემდეგ თავჯდომარემ გამოუცხადა კრებას, რომ პირველი განსახილველი საგანი არის სარევიზიო კომისიის მოხსენება $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და გამგეობის აზრი ამ მოხსენების გამო. მდივანი შეუდგა სარევიზიო კომისიის მოხსენების კითხვას. როდესაც წაკითხულ იქმნა მოხსენების პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება წიგნების ვაჭრობას. კრებამ ითხოვა, რომ წაკითხულიყო გამგეობის აზრი ამ ნაწილის შესახებ.

გამგეობის აზრის წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა მრევლიშვილმა ჰკითხა მდივანს, ვინ არის დამწერი კომისიის მოხსენებისაო. მდივანმა უპასუხა, რომ მოხსენებაზედ ხელი უწერიათ კომისიის სამსავე წევრს და სახელდობრ ვინ არის დამწერი, მოხსენებიდგან არა სჩანსო. კომისიის წევრებად არიან: ვასილ რცხილაძე, დავით დათეშიძე და პავლე ყიფიანი.

ანტ. ნატროშვილმა სთქვა, რომ როგორც მოვისმინეთ, გამგეობა ყველაფერში უარსა ჰყოფს კომისიის მოხსენებას და ჩვენთვის ძნელია გამოირკვას, რომელია მათგანი მართალი, რომელია შემცდარი. ამიტომ კარგი იქნება ავირჩიოთ კომისია და მივანდოთ თავისი აზრის გამოთქმაო.

მრევლიშვილი არ სთვლის საჭიროდ სარევიზიო კომისიისათვის სხვა სარევიზიო კომისიის დანიშვნას და ითხოვს, რომ კრებამ განიხილოს თვითონ. კრებამ დაადგინა მოისმინა პირად აზრი და განმარტება სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თავჯდომარემ სთხოვა სარევიზიო კომისიის წევრთ, რომ მოხსენებიდგან წაკითხულის ნაწილის შესახებ ეთქვათ კიდევ, რაც საჭიროდ მიაჩნდათ.

კომისიის წევრი ვ. რცხილაძე: ერთის მხრით ჩვენი მოხსენება წიგნის ვაჭრობის შესახებ ისე ბევრს და სხვა და სხვა შეცდომას აღნიშნავს გამგეობისას და მეორე მხრით გამგეობას ისე ხელაღებით უარ უყვია კომისიის მოხსენება, რომ შეუძლებელია აქ ყველაფერზედ ვილაპარაკო, ცხადია გამგეობას განგებ დაუწერია თავის მოხსენება, რომ კომისია გაამტყუნოს. ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა დაინიშნოს ცალკე კომისია და მას დაევალოს გაარჩიოს კომისიისა და გამგეობის მოხსენებანი.

გამგეობის წევრი ნ. ცხვედაძეც საჭიროდ სთვლის ცალკე კომისიის დანიშვნას იმ აზრით, რომ ამ კომისიამ შეადაროს ერთი-ერთმანეთს სარევიზიო კომისიისა და გამგეობის მოხსენებანი და საცა საჭიროდ დაინახოს შეამოწმოს მათ მიერ აღნიშნული ფაქტების სიმართლე.

გამგეობის მდივანი დ. კარიჭაშვილი: ახალის კომისიის დანიშვნა შესადარებლად სარევიზიო კომისიის და გამგეობის მოხსენებათა საჭირო იქნებოდა მაშინ, როდესაც გამგეობის მიერ სარევიზიო კომისიის მოხსენებაში აღნიშნული შეცდომები სადაონი იქნებოდენ და ჰსაჭიროებდენ შემოწმებას. გამგეობა უარს ჰყოფს და არღვევს სარევიზიო კომისიის მოხსენებას ისეთის ცხადის და თვალსაჩინო შეცდომების ჩვენებით, რომელთაც თვით სარევიზიო კომისიაც უარს ვერ ჰყოფს. ამიტომ საჭირო არ არის ახალის კომისიის დანიშვნა, თვით კრებას ძალიან ადვილად შეუძლიან განიხილოს და თავისი აზრი წარმოსთქვას სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

ამის შემდეგ თავჯდომარემ ჰკითხა კრებას, როგორ ინებებთ, ახლავე შეუდგეთ მოხსენებათა განხილვას, თუ გადავცეთ გასახილველად ახალს კომისიასაო. კრებამ დაადგინა ახლავე შესდგომოდა განხილვას. ამასთანავე კრებამ სურვილი გამოაცხადა, რომ შესადარებლად სარევიზიო კომისიის და გამგეობის აზრებისა საერთოდ წაკითხულიყო ბიბლიოთეკის რევიზიის დასკვნა და შემდეგ მთელის მოხსენების დასკვნა, ხოლო მასუკან გარჩეულიყო მუხლობრივ მოხსენება.

პირველი მუხლი სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, წიგნების ვაჭრობის შესახებ, შეეხებოდა იმას, რომ კომისია გაზვიადებულად სთვლის წლიურს ანგარიშში გამგეობის მიერ ნაჩვენებს წიგნების ფასს 1 ენკენისთვისათვის 1892 წ. 660 მანეთით. გამგეობა თავის მხრით ასახელებდა კომისიის გამოანგარიშებაში წიგნების ფასის შესახებ სამს შეცდომას. პირველი ის არის, რომ კომისიის საანგარიშო წლის განმავლობაში დაბეჭდილი წიგნები ხელუხლებლად უანგარიშნია 1 ენკენისთვისათვის 1892 წლისა იმ ფასად რაც მათ დაბეჭდვაზედ დახარჯულა, თუმცა ამ დროისთვის არ შეიძლებოდა ამ ფასისა ყოფილიყო, რადგან წლის განმავლობაში დაბეჭდილს წიგნებს დაჰკლებია 1 ენკენისთვემდე 1892 წ. გაყიდვით თუ გაგზანით 366 მანეთის წიგნები. მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ სარევიზიო კომისიას დანაკარგად მიაჩნია 163 ცალი ბუნების კარი, რომელთაგან 150 ცალი მართლა დაუკარგია მკაზმავს და მათ მაგიერ წარმოუდგენია მათი ფასი 105 მ., ხოლო დანარჩენი ცამეტი ცალი ყოფილა გაგზავნილი საცენზურო კომიტეტში კანონისამებრ. მესამე შეცდომა კიდევ ის არის, რომ კომისიის აზრით, საზოგადოების წიგნთსაცავში ყოფილა 291 მ. შემოწირული წიგნები, რომლებიც ვითომ ანგარიშში არ არიან ჩათვლილნი. აქედგან კომისია დაასკვნის, რომ გამგეობის მიერ ნაჩვენები წიგნების ფასი გაზვიადებულია 291 მანათითაო. აქ გამგეობა ორგვარს შეცდომას ჰპოვებს: 291 მანეთის შემოწირულის წიგნებიდგან 180 მანეთისა შემოსულა საანგარიშო წელს-კი არა, არამედ შემდეგ წელში, რის გამოც ისინი არ მოჰყვებოდნენ ხსენებულს წლიურს ანგარიშში. ხოლო დანარჩენი წიგნები ყოფილან ჩათვლილნი ანგარიშში. ამას გარდა, გამგეობას რომ მართლა თავის წიგნების რიცხვში არ ეანგარიშნა შემოწირული წიგნები, მაშინ მის მიერ ნაჩვენები წიგნების ფასი იქნება დაპატარავებული და არა გაზვიადებული.

სარევიზიო კომისიის წევრი ვას. რცხილაძე: გამგეობა უარს ჰყოფს, რომ ვითომ მის მიერ ნაჩვენები წიგნების ფასი არ იყოს გაზვიადებული. ჩვენ დავთვალეთ წიგნები და ნამდვილად იმდენისა დააკლდა, რამდენიც ჩვენს მოხსენებაში გვაქვს დაწერილი.

მდივანი ჰკითხავს ბ. რცხილაძეს: ნუ თუ შეცდომათ არ მიგაჩნიათ თქვენ ის, რომ წლის განმავლობში დაბეჭდილი წიგნები ხელ-უხლებლად გაქვთ ნაჩვენები წლის ბოლოს. განა შესაძლებელია წარმოადგინოს კაცმა, რომ 6,572 მან. წიგნებითგან, რომლებიც წლის განმავლობაში დაბეჭდილა, არც ერთი წიგნი არ გაყიდულიყოს წლის ბოლომდე. ეს შეუძლებელია და გამგეობაც მოგახსენებს, რომ ამ წიგნებს დააკლდა 366 მანეთისა. ცხადია, ამ ყალბს ცნობა-

ზედ დაფუძნებული თქვენი დასკვნ უსათუოდ უნდა შემცდარი იყოს.

ბ. რცხვილაძე იმეორებს: ჩვენი დასკვნა არ არის შემცდარი, რადგან თვით გამგეობის ანგარიშში აგრე სწერია, რომ წლის განმავლობაში დაბეჭდილი წიგნები 6572 მან. იყოვო 1 ენკენ. 1892 წ.

მდივანი უპასუხებს: ეგრე-კი არა სწერია, არამედ ასე სწერია, რომ მაქ ფასის წიგნები დაიბეჭდა 1 ენკენისთვითგან 1891 წ. 1 ენკენისთვემდე 1892 წ. ამის დასამტკიცებლად წაიკითხა თვით ანგარიში.

თავმჯდომარემ ჰკითხა ბ-ნ რცხილაძეს: თქვენ რომ ანგარიშობდით წიგნების ფასს 1 ენკენ. 1892 წლისა, განა წლის განმავლობაში დაბეჭდილის წიგნებითგან არ გამორიცხეთ ის წიგნები, რომლებიც ამ დღემდი გაყიდული იყვნენ.

ბ. რცხილაძე: არა, არ გამოგვირიცხია.

თავმჯდომარე: ჩვენც მაგას მოგახსენებთ. შეცდომა მოგსვლიათ უნდა გამოგერიცხათ.

გამგეობის წევრი დ. ფავლენიშვილი: წიგნების ფასი 1 ენკენისთვისათვის 1892 წ. კომისიას აქვს გამოანგარიშებული ასე: ცალკე ანგარიშობს საზოგადოების ნაყიდსა და საანგარიშო წლამდე დაბეჭდილს წიგნებს, ამას უმატებს იმ ფასს, რა ფასისაც დაიბეჭდა მთელის წლის განმავლობაში, შემდეგ უმატებს კიდევ შემოწირულს სამს წიგნსაც (ქილილა და დამანა, ვისრამიანი და Законы царя Вахтанга) ბოლოს უმატებს წლის განმავლობაში გაკეთებულს ყდის ფასს. ჯამით ჰხატავს ფასს წიგნებისას წლის ბოლოს. ეს ჯამი, ცხადია შემცდარია, რადგან ის წარმომდგარია იმისთანა შესაერთებელთაგან, რომელთაგან ორი აშკარად ყალბი და შემცდარია. ესენი არიან წლის გამავლობაში დაბეჭდილის წიგნების ფასი და წლის გამავლობაშივე გაკეთების ყდის ფასი. ყველასთვის ცხადია, რომ არც წიგნების და არც ყდების ფასი წლის ბოლოს იმდენი არ იქნებოდა, რამდენიც წლის გამავლობაში შემოსულა. ამას გარდა კომისია შემოუსვლელად სთვლის 150 ცალს ბუნების კარს, რომელთ ფასი მიღებულია და ჩაწერილია წიგნში. ბოლოს კომისია ფიქრობს, რომ რა-კი წლიურს ანგარიშში 291 მ. შემოწირული წიგნები არ არის ჩათვლილი, ამიტომ წიგნების ნაჩვენები ფასი გაზვიადებულიაო. კომისიის სიტყვა რომ მართალი იყვეს, ანგარიშში მოყვანილი წიგნების ფასი, გაზვიადებულა-კი არა, დაპატარავებული იქნება.

ალ. ჩოლოყაშვილი: კომისია და გამგეობა ამტკიცებენ ერთგვარის საბუთებით სრულებით წინააღმდეგს ერთი მეორისას და ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომელია მართალი, რომელია შემცდარი, ამიტომ უნდა მიენდოს ცალკე კომისიას, რომ მათი მოხსენებანი შეუდაროს ერთმანეთს და შეამოწმოს.

თავმჯდომარე: იმის შემდეგ რაც ითქვა გამგეობისა და კომისიის მხრით, რას ბრძანებთ — განვაგრძოთ განხილვა სარევიზიო კომისიის მოხსენებისა მუხლობრივ, თუ მივანდოთ კომისიას, რომელიც არჩეული იქნება მიმდინარე წლის ანგარიშის შესამოწმებლად, რომ ერთმანეთს შეადაროს და შეამოწმოს კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება და გამგეობის პასუხი.

კრებამ გადასწყვიტა, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენების და გამგეობის პასუხის შედარება და შემოწმება მიენდოს ახლად ასარჩევს კომისიას.

(შემდეგი იქნება)

## კორესპონდენცია

**სამტრედია.** თქვენი მტერია, ჩვენ წელს ცუდი დრო დაგვიდგა! ერთად ერთი ჩვენი იმედი და სასოება სიმინდი იყო და წელს იმანაც თავი დაგვიკრა. მისი მოყვანა თვით გლეხკაცს ცხრა-ათი შაური უჯდება და გასყიდვით-კი შვიდ შაურად ძლივს ისყიდება. ასეთ სიმინდის სიიაფეს ამ ათ-თხუთმეტ წელში არ მოვსწრებივართ. დღეს ჩვენში დიდი თუ მცირე მარტო სიმინდის ფასის დაცემას შემოგტირებს, რადგანაც ხალხს მოესპო ეს ერთად-ერთი სალარი ათას გვარ გაჭირებასთან საბრძოლველად... მაგრამ ერთი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეა ჩვენი საქმეც: ამ სიმინდის გაიეფებამ, მართალია, შეძლებულ ნაწილს საზოგადოებისას და თვითონ ვაჭრებს დიდად გაუჭირვა საქმე, ხოლო ღარიბები წელში გაასწორა. სადაც მდიდარია, იქ ხომ ღარიბიც იქნება და სწორედ ეს გახლავსთ მიზეზი, რომ რამდენადაც მდიდრებს სწყინთ სიმინდის ფასის „დავარდნა“, იმდენად ღარიბებს უხარიანთ. ბევრგან სამტრედიის გარშემო სოფლებში აღარა ჰქონია ხელ-მოკლე ხალხს საკმაო სიმინდი და ორი სამი თვის წინად შეუდგა ყიდვას. სასიამოვნოა ისიც, რომ ზოგიერთი სათნო კაცი ამისთანა გაჭირებულს ხელს უმართავს და ზოგს სესხად აძლევს, ზოგს საჩუქრად.

ჩვენში მთელის ზამთრის განმავლობაში საშინელი ყელის ჭირება და წითელა მძვინვარებდა, ყელის ჭირებამ ხოლერაზედ მეტად დააზარალა ხალხი; ეს სენი ეხლაც ხშირად არის ჩვენში. ჩვენს საზოგადოებას ჰყავს ნასწავლი ექიმი, კაცი პატიოსანი და ხალხისთვის გულშემატკივარი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხალხმა მაინც ვერ დაახწია თავი ცრუ-მკითხავებსა და მატყუარი სოფლის ექიმებს. სამღვდელოებას ამ საქმეში დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს ხალხს, რომელიც მღვდელს უფრო უგონებს და რომელსაც მოძღვრისა უფრო სჯერა, ვიდრე სხვისა.

დასასრულ, მკითხველებს ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყო: უკვე დამტკიცებულია, ვისგანაც ჯერ არს, რომ სამტრედიაში სახელოსნო სასწავლებელი გაიმართოს. ამ აზრით, ხაზინა ყოველ წლივ იძლევა ექვსას თუმანს; საზოგადოებამ-კი უნდა იკისროს მხოლოდ სასწავლებლის შენობის აგება და ყოველ წლიურად სამასის თუმნის გადახდა სასწავლებლისათვის. ამ საქმეზედ ამ დღეებში მოელიან ჩვენში მაზრის უფროსს. ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს საქმე კეთილად დაბოლოვდება არც ეს ზემოხსენებული ხარჯი შეაფერხებს საქმეს, რადგანაც, როგორც ნამდვილად ვიცით, ამ საქმეში მოწვეულნი იქნებიან მონაწილეობის მისაღებად: ქუთაისისა, სენაკისა, ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრები. თუ ეს ასე იქმნა, თითოეულ მოსახლეს სულ რამდენიმე ათი კაპეიკი შეხვდება წელიწადში გადასახდელად ისეთის კარგის სასწავლებლისათვის, როგორიც არის სახელოსნო სასწავლებელი, რომლის მიუცილებელ საჭიროებას ყოველ წუთში გვაგონებს ჩვენი ჭირითა და ვარამით მოცული ცხოვრება.

ყარიბი

# რუსეთი

ამ ჟამად მეურნეობისა და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტმა დაამთავრა თავისი ანგარიში იმის შესახებ, თუ სამინისტროს რა უმოღვაწნია, ცვლილებათა შემოღებამდე, შინა ხელ-საქმისა და მრეწველობის სასარგებლოდ. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ სამინისტრო სცდილა გამოერკვია აწინდელი მდგომარეობა შინა-მრეწველობისა რუსეთში. შინა ხელ-საქმის საჭიროებათა გამორკვევასთან ერთად სამინისტროს განუხორციელებია კიდევ რამდენიმე თავის მიერ სასარგებლოდ დანახული საქმე იმ მცირე საშუალებით, რომელიც მას ეძლეოდა (60 ათასი მან. წელიწადში). ამ საშუალებიდგან სამინისტრო აძლევდა შემწეობას სასწავლებლებსა და სახელოსნოებს და ზოგიერთ საზოგადოებათ, რომელნიც სხვათა შორის შინა-ხელსაქმესაც აკეთებდნენ. ამ მცირე საშუალებიდგანვე სამინისტრო ხელს უმართავდა შინა-ხელსაქმეთა განყოფილების გამართვას ყოველ წლიურ გამოფენაზედ. ამავე საგნისათვის სამინისტრომ გამოსცა კრებული ცნობებისა, შინა-ხელსაქმეთა ხელოსნებისა და მწარმოებლებისათვის გამოსაყენებელი. იგივე საშუალებით ინახება შინა-ხელსაქმეთა მუზეი პეტერბურგისა.

სხვა ცოტად თუ ბევრად შესამჩნევ ღონისძიებათა შორის, რომელიც განხორციელებულა სამინისტროს დახმარებით, არის სხვა-და-სხვა დაწყებულებისაგან შინა-მოსაქმეთათვის შეკვეთილი საქმეები. ამ საქმეების შესასრულებლად სამინისტრო შინა მოხელ-საქმეთ აძლევდა ამ თავითვე, რამდენიც შეეძლო ფულს განსაკუთრებულის თანხიდგან და ამით შეაძლებინებდა შეკვეთილს საქმის გაკეთებას. ბოლოს ხანებში სამინისტრომ შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე სხვა-და-სხვა სოფლებში ახლად დაარსებულ გლეხ-კაცთა საზოგადო სავაჭრო დუქნებს, რომლებშიაც ხელსაქმის ნივთეულობა ისყიდება.

ასე უმოქმედნია საზოგადოდ სამინისტროს შინა ხელ-საქმის განკარგებისათვის. სამინისტრო თავის ანგარიშში ამბობს, რომ ჯერ ძალიან ცოტაა ჩვენ მიერ გაკეთებული, რადგან ძალიან ნაკლებად გვეძლევა ამ საქმისთვის ქონებრივი საშუალება და ამას გარდა, არც დიდი ხანია რაც ასეთის მიმართულებით ჰმოქმედებს სამინისტროო.

## გასართობი

ერთმა გამხეცებულმა კაცმა შენიშნა, რომ მის მოსამსახურეს, რომელსაც ბალისკენ სარკმელი გაეღო, შუბლზე თვალების პირდაპირ ჩამოეკიდა ორი დამბაჩა და ამ გვარად მისჩერებოდა ვარსკვლავებით გადაჭედილს ცას.

—რასა შვრები, ლუკავ!—ჰკითხა მოსამსახურეს, რადგანაც ასე ეგონა ლუკა ჭკუაზე შეშლილაო.

—არაფერს, ბატონო! მე მინდა დავინახო და დავათვალიერო ახლად გამოჩენილი კუდიანი ვარსკვლავი; მაგრამ, რადგან გაზეთებში ეწერა, რომ კუდიან ვარსკვლავს ვერავინ დაინახავს შეუიარაღებულის თვალითაო, ამისათვის მეც თქვენი დამბაჩებით შევიიარაღე თვალები

**

ერთს ოჯახში წვეულება იყო; ვახშმად ისე ისხდნენ, რომ ყოველ ვაჟს თავის არჩეული მანდილოსანი უჯდა გვერდით და მასთან შეექცეოდა მუსაიფით, მახვილობით, აშიკობით... ყველა სცდილობდა ისეთი რამ ეთქვა, რომ ყურადღება დაემსახურებია თავის მანდილოსნისა. ერთი ლამაზი მანდილოსანი არასა სჭამდა, მხოლოდ ვარდის ფურცლები დაეკავებია ცმაცურა ტუჩებით ათამაშებდა. ვაჟი, რომლის გვერდიდაც ის იჯდა, მიუბრუნდა მას და ღიმილით, თავ მომწონედ ჰკითხა:

—არც ღვინოს ინებებ, მშვენიერო თავის თავის მჭამელო?

ეს სიტყვა საშინლად მოეწონა მეორე ვაჟს, რომელიც ჰფიქრობდა, თუ რა „კომპლიმენტი“ ეთქვა თვისი მანდილოსნისათვის.

იფიქრა იფიქრა, და გარდასწყვიტა იგივე ითქვა.

—არც ღვინოს მიირთმევ, მშვენიერო თავის თავის მჭამელო?

ეს უთხრა თავის მანდილოსანს სწორედ იმ დროს, როცა მანდილოსანი ღორის ლორსა სჭამდა.

# დეპეშა

10 მაისი

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა კავკასიაში წაბრძანდა. მის უდიდებულესობას თან გაჰყვნენ დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე.

**ბარცელონა.** დღეს დილის 4 საათზედ ანარქისტები დახვრიტეს ციხესთან ხრამში.

11 მაისი

**პარიზი.** საფრანგეთის მთავარმინისტრი და იმისი ამხანაგები პარლამენტიდგან გამოვიდნენ და ჰფიქრობენ სამსახურს თავი დაანებონ, რადგანაც დეპუტატთა უმრავლესობისაგან თანხმობა ვერ მიიღეს მუშათა საქმეში.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


**გამგე კომიტეტს „ტფილისის გუბერნიის თავად - აზნაურთა საზოგადოებისას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** პატივი აქვს აცნობოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ **წლიური კრება საზოგადოებისა დანიშნულია ამ წლის მაისის 14-ს შვიდს საათზე საღამოს:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1-ს აპრილიდგან 1893 წლისა 1-ს აპრილამდის 1894 წლის.

2) ხარჯთ-აღრიცხვა $18^{94}/_{95}$ წლისა

3) მოხსენება იმ განცხადების გამო, რომელიც საზოგადოების ზოგიერთ წევრთ შემოიტანეს კომიტეტში იმის თაობაზედ, რომ გამგე კომიტეტი უკანონოდ განმარტებს § 4 საზოგადოების წესდებისას და იმას, რომ საჭიროა საზოგადოდ მთელი ეს წესდება ხელ-ახლად განხილულ იქმნასო.

და 4) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა. (3—3)


ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში ბ. კალანდაძესთან.
განჯაში დ. ქვლივიძესთან.
ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე
მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.


Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Мая 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.